



Tax Newsletter

February - March 2024

Cancellation of registration as a VAT taxpayer

An amendment was made to the instruction "On Administration of Taxes" approved by Order No. 996 of the Minister of Finance of Georgia on December 31, 2010, according to which, if it is revealed during the tax audit that during the period covered by the tax audit, a person incurred the obligation to register as a VAT payer, but it also obtained the right to cancel the registration as a VAT payer, the person authorized to carry out the tax audit is entitled to initiate the cancellation of the registration as a VAT payer. The consent of the VAT payer shall be notified to the tax authority in the form established by the Annex to the same order No. III-03, in which case, the registration as a VAT payer shall be canceled from the moment of the right to cancel the registration as a VAT payer arises.

According to the current legislation, the basis for cancellation of VAT registration for is if at least 1 year has passed since registration as a VAT payer and the total amount of VAT-taxable transactions during the last 12 calendar months does not exceed 100,000 GEL excluding VAT.

The amendment came into force on 6 February 2024.

Crediting VAT assessed through reverse-charge mechanism after VAT registration

An amendment was made to the Order No. 996 of the Minister of Finance of Georgia of December 31, 2010, according to which a new specific case when the VAT can be credited on the different ground rather than defined Tax Code of Georgia was established. Under the implemented amendment, the ground of deduction of VAT is VAT amount reflected in report of reverse charge VAT, if the right to credit input VAT arises [it is used in a VAT-

taxable transaction] after the registration as a VAT payer. Notably, VAT shall not be credited based on a reverse charge VAT report, if the report reflects a transaction after performance of which three years have passed.

On the third page of VAT declaration the cell 4¹ was added, in which a taxpayer should enter the information regarding VAT deduction – “VAT assessed through reverse charge mechanism and reflected in the report”. On the other hand, part “X” was added to the appendix “B” of the VAT declaration which shall reflect calculated reverse charge VAT subject to deduction. The abovementioned part of the declaration will be fulfilled only in case the right of deduction arises after the registration as a VAT payer.

The amendment came into force on 6 February 2024.

Customs value of the goods purchased from a related person

An amendment was made to the Order No. 257 of the Minister of Finance of Georgia of August 29, 2019, which defined a new case of making changes to the customs declaration of goods after the release of goods. In particular, an amendment was made to the appendix No. 8 of the order - "Instructions on declaration and clearance of goods in the customs procedure or re-export" and subsection "c" was added to Paragraph 4 of Article 14, according to which:

During the post-release control, in the case of the purchase of goods from a related person, if, based on the rules of evaluation of international controlled transactions:

- the initial value of the goods is increased, the customs value determined by the customs declaration must be corrected by making an amendment to the corresponding customs declaration, in which case,
 - ❖ When the post-release control is carried out at the initiative of the customs authority, the declarant will be subject to penalties according to the Customs Code of Georgia;
 - ❖ When such control is carried out on the basis of the declarant's written statement about making changes to the customs declaration, the declarant shall not be subject to penalties.
- the initial value of the goods is decreased, the customs value determined by the customs declaration is not corrected, and the declarant will not be subject to penalties according to the Customs Code of Georgia.

Here we would like to remind you that the rules for evaluating international controlled transactions concluded between related parties are determined by Chapter XVII of the Tax Code of Georgia and the order of the Minister of Finance No. 423 of December 18, 2013.

The amendment came into force on 16 February 2024.

Submission of information by the lessee of the trade facilities in the marketplace

An amendment was made to the Order No. 996 of the Minister of Finance of Georgia of December 31, 2010, and Article 39⁴ was added, which refers to the submission of information by the lessee of stationary and non-stationary trading places intended for the sale of goods in the marketplace.

- Who submits the information - a person who owns/possesses a marketplace and who leases (including sublease) a stationary trading facility and/or a non-stationary trading place intended for the sale of goods on this marketplace.
- What is a marketplace – a plot of land owned/possessed by a person and/or a group of persons, on which stationary trading facilities and non-stationary trading places or only non-stationary trading places (at least 10 non-stationary trading places) are located, which are intended for the sale of goods.
- What is a non-stationary trading place - a temporary building-structure, an assembly-dismantling and/or mobile construction system composed of anchor elements, which is connected to the ground by its own weight and/or dry non-monolithic fastenings and which does not have underground storage facilities, as well as a vehicle used for this purpose.

A person is obliged to electronically submit to the tax authority information about those persons (including sub-lessees) carrying out economic activities in the marketplace, to whom the stationary trading facility and/or non-stationary trading place is leased/sub-leased for a period of more than one calendar day.

The aforementioned information shall be submitted to the tax authority no later than the 15th of the month following the month of leasing a stationary trading facility and/or a non-stationary trading place in the marketplace, and in the event of a change in the list of persons performing economic activity in the marketplace - no later than the 15th of the month following the month of the corresponding change.

The provided information should include:

- a) name, identification number, legal form, and legal address of the lessor.
- b) brand name of marketplace.
- c) land cadastral code(s) and corresponding address(es)
- d) number of stationary and non-stationary trading places
- e) information about the lessees and sublessees, including name, identification number, legal form, in the case of a natural person - information about citizenship.
- f) type of activity of the lessee/sublessee
- g) area (sq.m) and type of leased/subleased facility
- h) lease/sublease agreement number, date, amount in national currency, date of start, end, change and termination of the agreement.

i) other information determined by the order of the head of the revenue service.

A person who leases a stationary trading facility and/or a non-stationary trading place in the marketplace, and the said leasing relationship is established before April 1, 2024, is obliged to submit information to the tax authority no later than May 31, 2024.

The amendment came into force on 1 April 2024.

This publication provides only general information, and it is not recommended to make decisions on specific cases based solely on this document. It is important that you consult a professional before making any decisions. Andersen in Georgia disclaims any liability for any loss resulting from actions taken or not taken by individuals relying on the information in this publication or making decisions based on it. In case you would like to discuss the issues addressed in this publication with relation to the specific circumstances relevant for you, please contact Andersen in Georgia.

George Svanadze, Ph.D., LL.M., MLB (Bucerius/WHU)

Managing Partner | Attorney-at-Law

george.svanadze@ge.andersen.com

Lasha Adamashvili, LLB, LL.M

Head of Tax and Advisory

lasha.adamashvili@ge.andersen.com

Giorgi Khanjaliashvili, LLB, LL.M

Tax Manager – Tax and Advisory

giorgi.khanjaliashvili@ge.andersen.com



საგადასახადო სიახლეები თებერვალი - მარტი 2024

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმება

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, თუ საგადასახადო შემოწმებისას გამოვლინდა, რომ საგადასახადო შემოწმებით მოცულ პერიოდში პირს წარმოეშვა როგორც დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება, ასევე დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების უფლება, საგადასახადო შემოწმების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი უფლებამოსილია, მიმართოს პირს, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების ინიციატივით. დღგ-ის გადამხდელის თანხმობა საგადასახადო ორგანოს ეცნობება ამავე ბრძანების №III-03 დანართით დადგენილი ფორმით, რა შემთხვევაშიც, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია უქმდება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების უფლების წარმოშობის მომენტიდან.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, პირისთვის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების საფუძველია თუ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციიდან გასულია არანაკლებ 1 წელი და ბოლო 12 კალენდარული თვის განმავლობაში დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების ჯამური თანხა არ აღემატება 100,000 ლარს დღგ-ის გარეშე.

ცვლილება ამოქმედდა 2024 წლის 6 თებერვლიდან

უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის ჩათვლა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემდეგ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში შევიდა ცვლილება, კერძოდ განისაზღვრა ახალი ცალკეული შემთხვევა, როდესაც დღგ-ის ჩათვლა შესაძლებელია განხორციელდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულისაგან განსხვავებული საფუძველით. ცვლილების თანახმად, ჩათვლის მიღების საფუძველია უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის თანხის გაანგარიშებაში ასახული დღგ-ის თანხა, თუ პირს აღნიშნული თანხის დადგენილი წესით ჩათვლის უფლება

წარმოექმნება [დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციაში იყენებს] დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემდეგ. ამასთანავე, ჩათვლა არ განხორციელდება იმ გაანგარიშების მიხედვით, რომელშიც ასახული დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების კალენდარული წლის დასრულებიდან გასულია 3 წელი.

დღგ-ის დეკლარაციის მე-3 გვერდს, სადაც აისახება ინფორმაცია დღგ-ის ჩასათვლელი თანხის შესახებ, დაემატა 4¹ გრაფა - „უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის თანხის გაანგარიშებაში ასახული დღგ“. ხოლო დეკლარაციის დანართ „ბ“-ს დაემატება ნაწილი X, სადაც აისახება უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის თანხის გაანგარიშებაში ასახული დღგ-ის თანხა, რომელიც ექვემდებარება ჩათვლას. დეკლარაციის ეს ნაწილი შეივსება იმ შემთხვევაში, თუ პირს უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის თანხის გაანგარიშებაში ასახული დღგ-ის თანხის დადგენილი წესით ჩათვლის უფლება წარმოექმნება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემდეგ.

ცვლილება ამოქმედდა 2024 წლის 6 თებერვლიდან

ურთიერთდამოკიდებული პირისაგან შექმნილი საქონლის საბაჟო ღირებულება

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში შევიდა ცვლილება, რომლითაც განისაზღვრა საქონლის გაშვების შემდეგ საქონლის საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანის ახალი შემთხვევა. კერძოდ, ცვლილება შევიდა ბრძანების დანართი №8-ში „ინსტრუქცია საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“ და 14-ე მუხლის მე-4 ნაწილის დაემატა „გ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც:

საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის განხორციელებისას ურთიერთდამოკიდებული პირისაგან საქონლის შექმნის შემთხვევაში, თუ საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების წესებიდან გამომდინარე, მხარეთა მიერ:

- იზრდება საქონლის თავდაპირველი ღირებულება, საბაჟო დეკლარაციით განსაზღვრული საბაჟო ღირებულება უნდა დაკორექტირდეს შესაბამის საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანის გზით. ამასთან,
 - ❖ როდესაც საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლი ხორციელდება საბაჟო ორგანოს ინიციატივით, დეკლარანტს დაეკისრება საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა;
 - ❖ როდესაც ასეთი კონტროლი ხორციელდება საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანის შესახებ დეკლარანტის წერილობითი განცხადების საფუძველზე, დეკლარანტს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.
- მცირდება საქონლის თავდაპირველი ღირებულება, საბაჟო დეკლარაციით განსაზღვრული საბაჟო ღირებულება არ ექვემდებარება კორექტირებას და დეკლარანტს საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

აქვე შეგახსენებთ, რომ ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის დადებული საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების წესები განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVII თავითა და ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 18 დეკემბრის №423 ბრძანებით.

ცვლილება ამოქმედდა 2024 წლის 16 თებერვლიდან

ბაზრობის ტერიტორიაზე საქონლის სარეალიზაციოდ განკუთვნილი სავაჭრო ობიექტების მეიჯარის მიერ ინფორმაციის წარდგენა

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში შევიდა ცვლილება და ბრძანებას დაემატა 39⁴ მუხლი, რომელიც ეხება ბაზრობის ტერიტორიაზე საქონლის სარეალიზაციოდ განკუთვნილი სტაციონარული და არასტაციონარული სავაჭრო ადგილების მეიჯარის მიერ ინფორმაციის წარდგენას.

- ვინ წარადგენს ინფორმაციას - პირი, რომლის საკუთრებაში/მფლობელობაშია ბაზრობა და რომელიც ახდენს ამ ბაზრობის ტერიტორიაზე საქონლის სარეალიზაციოდ განკუთვნილი სტაციონარული სავაჭრო ობიექტის ან/და არასტაციონარული სავაჭრო ადგილის იჯარით (მათ შორის, ქვეიჯარით) გაცემას.
- რა არის ბაზრობა - პირის ან/და პირთა ჯგუფის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განლაგებულია სტაციონარული სავაჭრო ობიექტები და არასტაციონარული სავაჭრო ადგილები ან მხოლოდ არასტაციონარული სავაჭრო ადგილები (არანაკლებ 10 არასტაციონარული სავაჭრო ადგილისა), რომლებიც საქონლის სარეალიზაციოდაა განკუთვნილი.
- რა არის არასტაციონარული სავაჭრო ადგილი - დროებითი შენობა-ნაგებობა, ანაკრები ელემენტებისგან შედგენილი ასაწყობ-დასაშლელი ან/და მობილური სამშენებლო სისტემა, რომელიც მიწასთან დაკავშირებულია საკუთარი წონით ან/და მშრალი არამონოლითური ჩამაგრებით და რომელსაც არ აქვს მიწისქვეშა სათავსები, აგრეთვე ამ მიზნით გამოყენებული ავტოსატრანსპორტო საშუალება.

პირი ვალდებულია საგადასახადო ორგანოს ელექტრონულად წარუდგინოს ინფორმაცია ბაზრობის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ იმ პირთა (მათ შორის, ქვემოიჯარეთა) შესახებ, რომლებზეც სტაციონარული სავაჭრო ობიექტი ან/და არასტაციონარული სავაჭრო ადგილი იჯარით/ქვეიჯარით გაცემულია ერთ კალენდარულ დღეზე მეტი პერიოდით.

აღნიშნული ინფორმაცია საგადასახადო ორგანოს წარედგინება არაუგვიანეს ბაზრობის ტერიტორიაზე სტაციონარული სავაჭრო ობიექტის ან/და არასტაციონარული სავაჭრო ადგილის იჯარით გაცემის თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ხოლო ბაზრობის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ პირთა შემადგენლობაში ცვლილების შემთხვევაში – არაუგვიანეს შესაბამისი ცვლილების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

წარმოსადგენ ინფორმაციას განეკუთვნება:

- ა) მეიჯარის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, სამართლებრივი ფორმა და იურიდიული მისამართი;
- ბ) ბაზრობის საფირმო სახელწოდება;
- გ) მიწის საკადასტრო კოდ(ებ)ი და შესაბამისი მისამართ(ებ)ი;
- დ) სტაციონარული და არასტაციონარული ობიექტების რაოდენობა;
- ე) ინფორმაცია მოიჯარისა და ქვემოიჯარის შესახებ, მათ შორის: დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, სამართლებრივი ფორმა, ფიზიკური პირის შემთხვევაში – ინფორმაცია მოქალაქეობის შესახებ;
- ვ) მოიჯარის/ქვემოიჯარის საქმიანობის სახე;
- ზ) იჯარით/ქვეიჯარით გაცემული ობიექტის ფართობი (კვ.მ) და ტიპი;
- თ) იჯარის/ქვეიჯარის ხელშეკრულების ნომერი, თარიღი, თანხა ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულების დაწყების, დასრულების, ცვლილების და შეწყვეტის თარიღი;
- ი) შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია.

პირი, რომელიც სტაციონარული სავაჭრო ობიექტის ან/და არასტაციონარული სავაჭრო ადგილის იჯარით გაცემას ახორციელებს ბაზრობის ტერიტორიაზე და აღნიშნული საიჯარო ურთიერთობა წარმოშობილია 2024 წლის 1 აპრილამდე, ვალდებულია ინფორმაცია საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს არაუგვიანეს 2024 წლის 31 მაისისა.

ცვლილება ამოქმედდა 2024 წლის 1-ლი აპრილიდან

პუბლიკაციაში გთავაზობთ ზოგად ინფორმაციას და მხოლოდ მასზე დაყრდნობით კონკრეტულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება არ არის რეკომენდირებული. ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებამდე მნიშვნელოვანია მიიღოთ პროფესიონალის კონსულტაცია. ანდერსენ ჯორჯია არ იღებს პასუხისმგებლობას ნებისმიერი ზიანის გამო, რომელიც გამოწვეულია იმ ქმედებებით, რომლებიც განხორციელდა ან არ განხორციელდა ამ პუბლიკაციაში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. თუ გსურთ ამ საკითხების განხილვა თქვენთვის რელევანტური კონკრეტული გარემოების კონტექსტში, გთხოვთ დაუკავშირდეთ ანდერსენ ჯორჯიას.

გიორგი სვანაძე, Ph.D., LL.M., MLB (Bucerius/WHU)

მმართველი პარტნიორი | ადვოკატი

george.svanadze@ge.andersen.com

ლაშა ადამაშვილი, LLB, LL.M

საგადასახადო და საკონსულტაციო პრაქტიკის ხელმძღვანელი

lasha.adamashvili@ge.andersen.com

გიორგი ხანჯალიაშვილი, LLB, LL.M

საგადასახადო მენეჯერი | ადვოკატი

giorgi.khanjaliashvili@ge.andersen.com